"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე

ალექსანდრე არაყიშვილი

2 თებერვალი
„--------"----------" 2012 წელი

საქართველოს კონტროლის პალატა

ეგზ. N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს" (ყოფილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - „ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი") საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 4/00

01/10/2007-01/10/2010

შინაარსი

ნაწილი I – შესავალი 3

ნაწილი II - აუდიტის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი შედეგები 5

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი 5

1. ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვის, საბიუჯეტო განაცხადით განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებლების დასაბუთებისა და მისი წარდგენის მდგომარეობა 5

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, მათი ხარჯვის მიზნობრიობისა და რეალობის მდგომარეობა გადასახდელების სახეების მიხედვით 6

3. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა 7

4. ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვის მდგომარეობა. ინვენტარიზაციის ჩატარების დროულობა და ხარისხი 9

5. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა 11

6. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან 13

7. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 13

ნაწილი I – შესავალი

აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 9 დეკემბრის №104/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფის წევრები - აუდიტორები ზვიად ლეჟავა (ჯგუფის ხელმძღვანელი), ქეთევან ზოზიაშვილი და მირიან ჯორჯიაშვილი.

აუდიტის პერიოდი - 2007 წლის 1 ოქტომბრიდან 2010 წლის 1 ოქტომბრამდე.

აუდიტის ვადა: აუდიტი დაიწყო 2010 წლის 13 დეკემბერს და დამთავრდა 2011 წლის 11 იანვარს.

სსიპ - „საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს“ იურიდიული მისამართია - თბილისი, 0105 თავისუფლების მოედანი №2. ტელ.: 43-69-96, ფაქსი: 43-60-87 http://www.georgia.travel/

შემოკლებანი:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი - დეპარტამენტი;
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო“ - სააგენტო;
3. საქართველოს ეკონომიკური (ეკონომიკისა და მდგრადი) განვითრების სამინისტრო - სამინისტრო;
4. საქართველოს ეკონომიკური (ეკონომიკისა და მდგრადი) განვითარების მინისტრი - მინისტრი;
5. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი - ბიუჯეტის შესახებ კანონი;
6. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების“ წესი - მივლინების ანაზღაურების წესი.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ლიკვიდირებულ იქნა მთავრობის დადგენილებით[1] და მის უფლებამონაცვლედ შეიქმნა სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო[2].

დეპარტამენტის (სააგენტოს) საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ტურისტთა შემოყვანა, შიდა ტურიზმისა და კურორტების განვითარების ხელშეწყობა. მისი ძირითადი ამოცანებია:

- საქართველოს ტურისტული იმიჯის პოპულარიზაცია,
- ტურიზმისა და კურორტების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების მიზნით ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა,
- კერძო სექტორთან თანამშრომლობა,
- საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარდგენა საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე და სხვა.

დეპარტამენტის მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადებული ინფორმაციით[3] ირკვევა, რომ:

➢ 2007-2009 წლებში ქვეყანაში უცხოელი ტურისტების რაოდენობა 43%-ით გაიზარდა, ხოლო 2010 წლის 9 თვეში ქვეყანაში 1,490.8 ათასი უცხოელი ტურისტი ჩამოვიდა, რაც 38%-ით მეტია 2009 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

(ლარებში)



➢ ტურიზმის წილი ექსპორტში 2007-2009 წლებში 20%-ით გაიზარდა. საშუალოდ ტურიზმის წილი მთლიანი მომსახურების ექსპორტში 35%-ს შეადგენს.

➢ საქართველოში სასტუმროებისა და რესტორნების საქმიანობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა ძირითადად 2007-2008 წლებში.

---

[1] 2010 წლის 10 აგვისტოს #237 დადგენილება.

[2] 2010 წლის 17 აგვისტოს #646 ბრძანებულება.

[3] ინფორმაციის წყაროები: საქართველოს შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ეროვნული ბანკი, თვითონ დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევები.

ნაწილი II - აუდიტის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი შედეგები

1) აუდიტის პერიოდში ქვეყნის გარეთ მივლინებების დროს დეპარტამენტის მიერ გაწეულმა წარმომადგენლობითმა და კავშირგაბმულობის ხარჯმა 9.7 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ხარჯების გაწევის უფლება მოქმედი წესის მიხედვით დეპარტამენტს არ ჰქონდა გვ.7

2) დეპარტამენტის ბალანსში 2010 წლის 1 ოქტომბრისთვის ირიცხება 68,6 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობის დანაკლისი. აქედან აუდიტის პერიოდში წარმოშობილი დანაკლისი შეადგენს 11.4 ათას ლარს გვ.10

3) 333.3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება წარმოიშვა 2005-2007 წლებში დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობისას, რომლებზეც არ არის წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების შესაბამისი დოკუმენტები და შედარების აქტები. აქედან გამომდინარე მათი რეალობა ვერ დგინდება გვ.11

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი

1. ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვის, საბიუჯეტო განაცხადით განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებლების დასაბუთებისა და მისი წარდგენის მდგომარეობა

„საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დეპარტამენტის ასიგნებები დამტკიცებული იქნა 4,276.8 ათასი ლარის ოდენობით, განაცხადით წარდგენილთან შედარებით 2,805.5 ათასი ლარით მეტი. აღნიშნული დეტალურად წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილში:

(ათას ლარებში)

დასახელება	განაცხადით წარდგენილი	დამტკიცებული ბიუჯეტი	სხვაობა
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	1,471.30	4,276.80	2,805.50
მომუშავეთა რიცხოვნობა	24	*39*	*15*
ხარჯები (მათ შორის)	1,413.30	*3,971.80*	2,558.50
შრომის ანაზღაურება	180.00	431.30	251.30
საქონელი და მომსახურება	1,233.30	3,540.50	2,307.20
არაფინანსური აქტივები	58.00	*305.00*	247.00

დეპარტამენტს, 2009 წლის საბიუჯეტო განაცხადი სამინისტროში წარდგენილი აქვს დეპარტამენტის კანცელარიაში რეგისტრაციის გარეშე, რაც არ არის

შესაბამისობაში „საქმისწარმოების ერთიან წესებთან“[4]. განაცხადის მიხედვით წარდგენილმა და ბიუჯეტის შესახებ კანონით დამტკიცებულმა ასიგნებებმა 3,276.80 ათასი ლარი შეადგინა.

დეპარტამენტის 2010 წლის ასიგნებები ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული იქნა 2,400.4 ათასი ლარის ოდენობით, განაცხადით წარდგენილთან შედარებით 99.60 ათასი ლარით ნაკლები. აღნიშნული დეტალურად წარმოდგელია წინამდებარე ცხრილში:

(ათას ლარებში)

დასახელება	განაცხადით წარდგენილი	დამტკიცებული ბიუჯეტი	სხვაობა
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	2,500.00	2,400.40	-99.60
მომუშავეთა რიცხოვნობა	*27*	*27*	0.00
ხარჯები (მათ შორის)	2,380.00	2,280.40	-99.60
შრომის ანაზღაურება	*394.80*	*364.40*	*-30.40*
საქონელი და მომსახურება	*1,984.00*	*1,906.00*	*-78.00*
სოციალური უზრუნველყოფა	*1.20*	*10.00*	*8.80*
არაფინანსური აქტივები	120.00	120.00	0.00

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, მათი ხარჯვის მიზნობრიობისა და რეალობის მდგომარეობა გადასახდელების სახეების მიხედვით

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კვარტალური განწერით, დეპარტამენტის 2007 წლის IV კვარტლის ასიგნებებმა 446.3 ათასი ლარი შეადგინა.

დეპარტამენტის თავდაპირველად დამტკიცებული ასიგნებები წლის განმავლობაში იცვლებოდა, როგორც კანონში შეტანილი ცვლილებით, ისე ბიუჯეტის დაზუსტებით. 2008-2010 წლების ასიგნებების ცვლილება მოცემულია გრაფიკის სახით:

(ათას ლარებში)



[4] „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა

დეპარტამენტის მიერ გაწეული ხარჯების შესწავლისას გამოვლინდა გარკვეული დარღვევები. კერძოდ:

✓ ქვეყნის გარეთ მივლინებების დროს დეპარტამენტის მიერ გაწეულია წარმომადგენლობითი და კავშირგაბმულობის ხარჯები. ამ ხარჯების გაწევა მხოლოდ მაღალი რანგის თანამდებობის პირებს და სამთავრობო დელეგაციის წევრებს შეუძლიათ[5]. აუდიტის პერიოდში წარმომადგენლობითი ხარჯი სულ შეადგენს 8.9 ათას ლარს, ხოლო კავშირგაბმულობის - 0.8 ათას ლარს. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგის მენეჯერის განმარტებით მივლინების დროს რიგ შემთხვევაში წარმოიქმნება გაუთვალისწინებელი წარმომადგენლობითი და საკომუნიკაციო ხარჯი გამოფენის ფარგლებში დაგეგმილი პრესკონფერენციების, პრეზენტაციების, შეხვედრების და სხვა ღონისძიებების ორგანიზების მიზნით.

✓ 2009 წელს გამოვლინდა მივლინების ხარჯების გაწევა ისეთ პიროვნებებზე, რომლებიც არ არიან დეპარტამენტის თანამშრომლები. ამ თანხამ 235.85 ლარი შეადგინა. დეპარტამენტის მთავარი ბუღალტრის ახსნა-განმარტებით, სტამბულის საერთაშორისო აეროპორტში გაიხსნა ფოტო გამოფენა საქართველოს ხედებითა და სხვადასხვა კულტურული თემატიკით. სამინისტროს გადაწყვეტილებით გამოფენის გახსნა უნდა გაშუქებულიყო საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, რისთვისაც სასწრაფოდ გააგზავნეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი და ოპერატორი, რომელთა საცხოვრებელის ხარჯი გადაიხადა თავმჯდომარემ. ამ თანხის ანაზღაურება მოხდა მივლინების წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით.

3. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა

2007 წლის IV კვარტალში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სულ გამოყოფილია 2,548.0 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

- ბახმაროსა და ურეკის სარეკრეაციო ზონების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების, სარეკრეაციო ზონების ფარგლებში განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონების საკადასტრო რუკების, ამ ზონების განაშენიანების რეგულირების გეგმების, ასევე შაორის წყალსაცავის ირგვლივ ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტების შედგენა (1,175.0 ათასი ლარი)
- შიდა ტურიზმის განვითარება, ტურისტული მოძრაობისათვის ბიძგის მიცემა და ტურისტულად აქტიურ მასებში სვანეთის პოპულარიზაცია (310.0 ათასი ლარი)

[5] საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების“ წესის მე-7 პუნქტი.

- საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების მხარდაჭერის, ასევე საქართველოს პოპულარიზაცია საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებში (286.9 ათასი ლარი)
- გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასთან ერთად ,,ტურკომისა" და პარალელურად 24-26 სექტემბერს ტურისტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალ ,,ოქროს საწმისის" მოსაწყობად და ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად (777.0 ათასი ლარი).

2008 წელს დეპარტამენტს სარეზერვო ფონდებიდან თანხები არ მიუღია.

2009 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან[6] დეპარტამენტს გამოეყო 180.0 ათასი ევროს ექვივალენტი ლარი ქვეყანაში ტურისტების დიდი ნაკადის მოზიდვის მიზნით საიმიჯო კლიპის გადაღებისა და მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე გაშუქებისთვის. აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად დეპარტამენტმა ხელშეკრულება გააფორმა The Buzz Business SL-თან. ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებდა თანხის 75%-ის წინასწარ, ხოლო 25%-ის ფილმის დასრულების შემდეგ გადახდას. თუმცა დეპარტამენტმა მთლიანი თანხა ფილმის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე გადაიხადა, რაც ბიუჯეტის სახსრების არაეფექტურ ხარჯვაზე მიუთითებს.

2010 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან[7] დეპარტამენტს გამოეყო 134.8 ათასი ლარი საქართველოს ტურისტული პოტენციალის რეკლამირებისათვის სარეკლამო რგოლის დასამზადებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით და 632.5 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი - ამ სარეკლამო რგოლის უკრაინულ ტელეარხებზე განსათავსებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით. სარეკლამო რგოლის დასამზადებლად შპს „სტუდია მეტროსთან" დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა შემსრულებლის მიერ უკრაინაში წარმომადგენლის გაგზავნას უკრაინულ ტელეარხებთან სარეკლამო კლიპის განთავსების შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად (9.5 ათასი ლარი). სარეკლამო რგოლის უკრაინულ ტელეარხებზე განსათავსებლად ხელშეკრულებები გაფორმდა Starlight Seles და Studio 1+1-თან, ხოლო მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით დეპარტამენტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „სტუდია მეტროსთან", რისთვისაც დეპარტამენტის ასიგნებიდან გამოყოფილ იქნა 10.9 ათასი ლარი.

2010 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოიყო შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

- ქ. სიღნაღის ტურისტული მიმზიდველობის განახლებისა და ტურისტული ნაკადის ზრდის მიზნით ქ. სიღნაღის განვითარების პროექტის მოსამზადებლად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქ. შანხაიში „EXPO 2010"

---

[6] მთავრობის 2009 წლის14 ივლისის #504 განკარგულება.

[7] პრეზიდენტის 2010 წლის 15 თებერვლის #102, 16 მარტის #208, 5 მარტის #175 განკარგულებები

მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად განსახორციელებელ ღონისძიებათა დაფინანსების მიზნით

- უცხოურ ტელეარხებზე საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო რგოლის გადაღება
- საქართველოს საზაფხულო კურორტების სარეკლამო რგოლის სხვადასხვა ტელეარხებზე განთავსების, კლიპის ადაპტაციისა და მონიტორინგის საჭირო ხარჯების დაფინანსება
- ტელეკომპანია "Travel Channel"-ის მიერ ქართული ღვინის შესახებ ფილმის გადაღება და ამავე არხზე განთავსება
- ავიაკომპანია „Estonian Air"-ის ორგანიზებით ესტონური ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებისა და ესტონელი ინვესტორებისათვის აჭარის ა/რესპუბლიკაში დაგეგმილი ტურის ჩატარების უზრუნველსაყოფად (13-15 სექტემბერი)
- დეპარტამენტის მიერ ესტონური ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებისა და ესტონელი ინვესტორებისათვის საქართველოში (მათ შორის აჭარის ა/რესპუბლიკაში) დაგეგმილი ტურის ჩატარების უზრუნველსაყოფად
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქ.შანხაიში "EXPO 2010" მსოფლიო გამოფენის ფარგლებში 2010 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ დღესთან დაკავშირებით ანსამბლ „რუსთავის" წევრების მგზავრობისა და სხვა საორგანიზაციო საკითხების დასაფინანსებლად.

4. ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვის მდგომარეობა. ინვენტარიზაციის ჩატარების დროულობა და ხარისხი

2007 წლის 1 ოქტომბრიდან 2010 წლის 1 ოქტომბრამდე სააგენტოს ბალანსზე არსებული არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

(ათას ლარში)

#	დასახელება	ნაშთი 01.10.2007	მიღებულია	გასულია (მ.შ. ცვეთა)	ნაშთი 01.10.2010
1	შენობა-ნაგებობები	0	32.5	10.9	21.5
2	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	319.8	252.3	228.9	343.2
3	არამატერიალური აქტივები	23.3	2652.6	273.0	2402.9
4	სხვა მატერიალური მარაგები	198.2	1800.2	1207.2	791.2
5	მიწა		53.9	8.9	44.9

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის მიზნით ორგანიზაცია ახდენს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას.

მინისტრის ბრძანებით[8] შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც დაევალა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფაესულობების, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების სრული ინვენტარიზაცია.

დეპარტამენტის ბალანსზე 2010 წლის 1 ოქტომბრისთვის ირიცხება 68.6 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობის დანაკლისი. აქედან აუდიტის პერიოდში წარმოშობილი დანაკლისი შეადგენს 11.4 ათას ლარს. მათ შორის:

დასახელება	ღირებულება (ათ.ლარი)	შინაარსი
დაკარგულია დეპარტამენტის შენობიდან (ალ.ყაზბეგის გამზ. N12)		
ნოუთბუქი HP Compaq nx6310	1.4	ეცნობა საქართველოს შსს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს
ნოუთბუქი Fujitsu Siemens Amilo Xi 2428	1.8	
სულ:	3.2	
დაკარგულია თვითმფრინავით მგზავრობისას		
ნოუთბუქი Sony	2.5	
დაკარგულია ურეკის საინფორმაციო ცენტრიდან		
კონდეციონერი "BEKO"	0.7	შს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე
ორმაგი მინა	0.1	
ალუმინის პროფილი	0.1	
ჟალუზი	0.2	
სულ:	1.1	
მატერიალურად პასუხისმგებელი პირის გ.ჯანაშიას დანაკლისი		
მაგიდის კომპლექტიდან მისადგმელი	0.3	
ალბომი საქართველო	0.1	
ტუმბო	0.1	
კალორიფენი	0.2	
სულ:	0.7	
მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ლ.მაკალათიას დანაკლისი		
კონდეციონერი "BEKO"	1.5	თავმჯდომარის 2010 წლის 1 მარტის #08-ს განკარგულებით აღმოჩენილი დანაკლისი, რომლის შესახებ გაეგზავნა წერილი ლ.მაკალათიას 2010 წლის 28 ივნისს და მოითხოვეს მისგან დანაკლისის დაფარვა, ხოლო 2010 წლის 20 ივლისს ამის შესახებ ეცნობა მინისტრს. თუმცა დანაკლისი ჯერ დაფარული არ არის.
ალბომი საქართველოს სულიერი საგანძური	0.1	
წიგნი „თბილისი"	0.1	
წიგნი „საქართველო"	0.1	
ფოტოკამერა	1.2	
საწერი მაგიდა	0.2	
მაგიდის მისადგმელი	0.2	
მაგიდის კომპლექტი	0.3	
მაგიდის კომპლექტიდან მისადგმელი	0.1	
ფოტოკამერის ფლეშკარტა	0.1	
სულ:	3.9	

დეპარტამენტის ბალანსზე არსებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

[8] 2010 წლის 31 აგვისტოს #1-1/1446 ბრძანება

(ათასი ლარი)

დასახელება	01.01.2007	01.10.2010
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	127.6	3.8
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	333.3	386.8
მოთხოვნები დანაკლისებით		68.6
სულ მოთხოვნები:	**460.9**	**459.2**
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	38.0	7.5
ვალდებულებები მივლინებით		0.6
სხვა კრედიტორული დავალიანებები		1.9
სხვა გადასახადები		31.6
სულ ვალდებულებები:	**38.0**	**41.6**

უნდა აღინიშნოს, რომ 333.3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება წარმოშობილია 2005-2007 წლებში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ არის წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების შესაბამისი დოკუმენტები და შედარების აქტები[9]. აქედან გამომდინარე მათი რეალობა ვერ დგინდება.

5. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა

2007 წლის 1 ოქტომბრიდან 2010 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

შესყიდვის სახე	**ხელშეკრულების**	
	რაოდენობა	**ღირებულება (ათასი ლარი)**
2007 წლის IV კვარტალი		
ერთ პირთან მოლაპარაკება	191	2096.3
2008 წელი		
ერთ პირთან მოლაპარაკება	691	5188.2
ფასთა კოტირება	3	99.0
სულ:	**694**	**5287.2**
2009 წელი		
ერთ პირთან მოლაპარაკება	567	1776.5
ფასთა კოტირება	3	13.0
სულ:	**570**	**1789.5**
20010 წლის 9 თვე		
ერთ პირთან მოლაპარაკება	607	1183.9
ფასთა კოტირება	18	71.8
სულ:	**625**	**1255.7**

[9] საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების" მე-13 მუხლი, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების აუდიტისას გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, კერძოდ:

აუდიტის პერიოდში, დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი 2007 წლის მე-4 კვარტლის და 2008 წლის სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებული გეგმები, ფასთა კოტირების დოკუმენტაცია და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან წარმოებული დოკუმენტაცია. აღნიშნულის თაობაზე დეპარტამენტმა წერილით[10] მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მოითხოვა ამ დოკუმენტაციის დამოწმებული ასლები. აუდიტის პერიოდში აღნიშნული დოკუმენტაცია ვერ იქნა მოწოდებული.

2007 წლის ოქტომბრის თვიდან 2007 წლის 12 დეკემბრამდე სახელმწიფო შესყიდვების ერთ პირთან მოლაპარაკების პროცედურებს ახორციელებდა და შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებს ხელს აწერდა დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი, რომელზეც აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი[11]. აღნიშნულის თაობაზე უფლებამოსილება მიეცა მხოლოდ 2007 წლის 12 დეკემბერს[12].

2007 წლის მე-4 კვარტლის, 2008 წლის და 2009 წლის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები გაფორმებულია ცალკეული ხარვეზებით, კერძოდ მითითებული არ არის საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი[13]; ასევე, ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება, რომელიც ეხება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას შემდეგ წელს, არ იქნა შეთანხმებული ფინანსთა სამინისტროსთან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან[14]; ერთ შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებული იქნა სამუშაოზე, რომელიც შესრულებული იყო ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი თვით ადრე[15].

2008 წელს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გაფორმებულია ორი ხელშეკრულება[16] ვებ-გვერდების განახლებაზე, ღირებულებებით 3.2 ათასი და 20.0 ათასი ლარი. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს შესყიდვის ხელოვნურად დაყოფას, რადგან ასეთ შემთხვევაში დეპარტამენტს სახელმწიფო შესყიდვა უნდა განეხორციელებინა ფასთა კოტირების საშუალებით[17].

---

[10] 2010 წლის 21 დეკემბრის წერილი #08/277.

[11] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

[12] დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 11 იანვრის #5 განკარგულება.

[13] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

[14] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის 1 პუნქტი.

[15] 2008 წლის 14 თებერვლის #100 ხელშეკრულება ვიდეო რგოლების ტელეეთერში განთავსებაზე.

[16][16] 2008 წლის 29 ოქტომბრის #601 და 4 ნოემბრის #605 ხელშეკრულებები.

[17] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლი.

საერთაშორისო-ტურისტული გამოფენა-ბაზრობაზე მონაწილეობის მიღების მიზნით (საგამოფენო ფართების დაქირავების, სტენდის დიზაინის და აწყობის ხარჯები) აუდიტის პერიოდში სახელშეკრულებო თანხები გადარიცხულია წინასწარი ანგარიშსწორებით, საბანკო გარანტიების მოთხოვნის გარეშე რითაც დეპარტამენტის მხრიდან არ ხდებოდა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა[18].

აუდიტის პერიოდის 22 ხელშეკრულებაში მითითებული არ არის სახელშეკრულებო ღირებულებები, ანაზღაურება განხორციელებულია ფაქტიური შესყიდვების მიხედვით, მომწოდებლებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე[19].

2007 წლის 1 ოქტომბრიდან 2010 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ნაწილი (60 ხელშეკრულება) დეპარტამენტის მიერ გაფორმებულია უცხო ენაზე და არ ახლავს ქართულად ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული ასლები. ამასთან აუდიტის პერიოდში ითარგმნა 2007 წლის 6 და 2008 წლის 21 ხელშეკრულება[20].

6. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან

სააგენტოში, ბუღალტრული აღრიცხვა მიმდინარეობს კომპიუტერულ პროგრამა „ინფო-ბუღალტერიაში“.

დეპარტამენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[21] დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ხოლო სამინისტროში კვარტალური და წლიური ნაერთი ანგარიშგებები (ბალანსები) წარდგენილია სამინისტროს მიერ დადგენილი ვადების დაცვით ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით[22] დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად.

7. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს კონტროლის პალატაში.

---

[18] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლის მე-19 პუნქტი.

[19] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

[20] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-16[1] მუხლი.

21 2007 წლის 27 დეკემბრის ბრძნება #1278, 2007 წლის 28 დეკემბრის #1321.

22 2003 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება #521, 2008 წლის 16 აპრილის ბრძანება #364.